საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

ქ. თბილისი ვასო გოძიაშვილის ქ. N49 ტელ. 253 09 68

N 07/225
24/03/2021

225-07-2-202103241324

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 47-ე მუხლის მე-15 ნაწილის, „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 ოქტომბრის N2-827 ბრძანების მე-13 მუხლისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 22 მარტის N2708/01 წერილის გათვალისწინებთ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ ქ. თბილისში, სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ტერიტორიაზე არსებული ბეკარის (ბიო-თერმული) ორმოს (ნარჩენების განთავსება) ექსპლუატაციის გზშ-ის ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას.

გაცნობებთ, რომ ლაბორატორიის ტერიტორიაზე, ბეკერის ორმო ფუნქციონირებს 2008 წლიდან. საქმიანობაზე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 47-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 12 დეკემბრის N2-1230 ბრძანებით დამტკიცდა „ქ. თბილისში, სსიპ ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას'' ბეკარის (ბიო-თერმული) ორმოს (ნარჩენების განთავსება) მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ“ გადაწყვეტილება N7; 31.10.2019. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 დეკემბრის N615 დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია განისაზღვრა „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 მაისის №323 დადგენილებით დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის უფლებამონაცვლედ და, შესაბამისად,

დღეის მდგომარეობით, ზემოაღნიშნული ბეკარის ორმოს ექსპლუატაციას ახორციელებს სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია.

დანართი:

1. ქ. თბილისში ბეკარის (ბიო-თერმული) ორმოს (ნარჩენების განთავსება) ექსპლუატაციის გზშ-ის ანგარიში - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 3 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
3. საწარმოს განთავსების ტერიტორიის სიტუაციური რუკა და გენ-გეგმა;
4. საწარმოს განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით და 1-3 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების ელ ვერსია - 1 CD;
5. გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;

ირაკლი გულედანი

დირექტორი